

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 94

(15.04.2009 წ.)

მედალი „გიორგი ნიკოლაძე“ დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

სტუ-ს აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2007 წლის 30 ოქტომბერს მიღებულ № 11 დადგენილებაში და „გიორგი ნიკოლაძის“ მედლის დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი. „გიორგი ნიკოლაძის“ მედლის მფლობელს სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნდება პენსიაზე გასვლის მომენტისათვის დადგენილი ხელფასი. ემერიტუსის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, აღარ მიეცემა „გიორგი ნიკოლაძის“ მედლისათვის დაწესებული ხელფასი.
2. გაეგზავნოს აღნიშნული დადგენილება სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

პროფესორი

ა. ფრანგიშვილი

სტუ-ს აკადემიური საბჭოს მდივანი,

პროფესორი

გ. სალუქვაძე.